ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

„ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის № 41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ექპერტიზის ობიექტი:

ქ. თბილისში, ლუბლიანას ქ№13დ, ს/კ 01.13.02.009.044 „თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა ოფთალმიჯის“ რეკონსტრუქციის პროექტი

დამკვეთი:

გიორგი ჯავრიშვილი

პროექტის ავტორი:

მალხაზ თავართქილაძე, იაკობ ვარდანაშვილი

ექსპერტი:

მაგდა მეშვილდიშვილი

ექსპერტიზის თარიღი ან პერიოდი:

09.07.2021

თ ბ ი ლ ი ს ი

2021 წ.

09.07.2021 მაგდა მეშვილდიშვილი

საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია თვალის მიკროქირურგიის კლინიკის რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

- ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს; დაგეგმარების მიზნის აღწერას);
- შენობა-ნაგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს;
- მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას 1:500 მ;
- მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმას (გენგეგმა);
- შენობა-ნაგებობების განთავსებასა და სიმაღლეებს;
- გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს;
- დეტალების ფრაგმენტულ ნახაზებს;
- შენობის ვიზუალიზაციას

შენიშვნა: მოცემული დოკუმენტაციის სისწორესა და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.
საექსპერტო დასკვნა მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
- კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
- სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
- გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
- გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
- მისაწვდომობის შეფასებას;
- გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
- სახურავის ანაწყობების შეფასებას;
- ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
- ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას.

პროექტის მოკლე აღწერა:

სარეკონსტრუქციო შენობა მდებარეობს ქ.თბილისში, ლუბლიანას ქ№13დ, ს/კ 01.13.02.009.044 და წარმოადგენს თვალის მიკროქირურგიის კლინიკას. სარეკონსტრუქციო შენობა 2-5-სართულიანია. შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კარკასი, სართულშუა გადახურვას - მონოლითური რკინაბეტონის ფილა, სახურავს - მეტალოკრამიტის ფენილი. გარე კედლები შესრულებულია ბლოკის წყობით, ღიობები შევსებულია ალუმინის პროფილის კარ-ფანჯრებთა და ვიტრაჟებით.

ტერიტორიას საზოგადოებრივი საზღვარი სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან.

09.07.2021 მაგდა მეშვილდიშვილი

რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს მეხუთე სართულზე დამხმარე დანიშნულების სათავსოს მიშენებას და სახანძრო თავდასაღწევი კიბის მოწყობას. დამხმარე სათავსის გარე კედლები მოეწყობა სამშენებლო ბლოკის წყობით, ფასადები შეილესება და შეიღებება, გადაიხურება მეტალოკრამიტის ფენილით. სახანძრო თავდასაღწევი კიბეები კი ფოლადით აიგება.

ვინაიდან სარეკონსტრუქციო შენობა აშენებული და ექსპლუატაციაში მიღებულია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების ამოქმედებამდე, იგი ნაწილობრივ ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესების მოთხოვნებს.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები არ გამოიწვევს „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტის მოთხოვნებთან არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდას. მიშენებულ დამხმარე სათავსს არ მოეთხოვება მისაწვდომობა 1103.2.5 ქვეთავის შესაბამისად. გარე კედლებისა და სახურავის ცეცხლმედეგობა არანაკლებ 2-საათიანია, დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 1-ს, ხოლო მაქსიმალური სავალი მანძილი არსებულ გასასვლელამდე 20 მეტრს არ აღემატება. გარდა ამისა, საპროექტო სახანძრო თავდასაღწევი კიბე დამატებით გასასვლელ საშუალებას წარმოადგენს როგორც მიშენებული დამხმარე სათავსისათვის, ასევე მთლიანად არსებული შენობისათვის. შესაბამისად, სარეკონსტრუქციო სამუშაოები არათუ არ გააუარესებს, არამედ პირიქით, გააუმჯობესებს არსებული შენობის მდგომარეობას სახანძრო უსაფრთხოების მხრივ.

კვლევითი ნაწილი:

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, საპროექტო სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის ჯგუფი შეესაბამება 302-ე ქვეთავს.
პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობა:

- დამხმარე ჯგუფი დს (+13.65 ნიშნულზე) - შეესაბამება 312 ქვეთავს.

რაც შეეხება დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორს, პროექტის მიხედვით მინიჭებული მაჩვენებელი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:

- დს ჯგუფისთვის ---------- 27.9 მთლიანი;

აღნიშნული ფაქტორის მიხედვითაა დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა:

იატაკის მთლიანი (საერთო) ფართობი ნაანგარიშევია (ქვეთავი 202 -ის განმარტების შესაბამისად) - გარე კედლების შიგა პერიმეტრის საზღვრებში მოქცეული დაკავებულობის ფართობი, გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე. მიღებული მაჩვენებლები შეესაბამება „წესების“ მოთხოვნებს.

09.07.2021 მაგდა მეშვილდიშვილი

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

როგორც არსებული შენობის, ასევე საპროექტო მიშენების კონსტრუქციულ ტიპად მიღებულია **I –B.**

601 ცხრილის მიხედვით, შენობის ძირითად სტრუქტურულ ჩარჩოს, შიგა და გარე მზიდ კედლებს, იატაკის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი მოეთხოვებათ, ხოლო სახურავის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს - 1 საათიანი.

602 ცხრილის მიხედვით, საპროექტო მიშენების შენობის გარე არამზიდ კედლებს, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის გათვალისწინებით, მოეთხოვებათ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი.

საპროექტო მიშენება აკმაყოფილებს 601 და 602 ცხრილების მოთხოვნებს.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

წარმოდგენილი დაკავებულობების და კონსტრუქციული ტიპის (I-B) გათვალისწინებით, საპროექტო შენობის სიმაღლე (შესაბამისად სართულიანობა) და ფართობი აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს;

შენობის სიმაღლე მიწის დონიდან არის 19.65 მეტრი (სიმაღლე დაანგარიშებულია 202 ქვეთავის მიხედვით,) ხოლო ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 14.70 მეტრზე, ანუ 23.00 მ-ზე დაბლა და შესაბამისად, „წესების“ განმარტების მიხედვით, საპროექტო შენობა არ არის მაღლივი.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

- **გასასვლელთან მისადგომისადმი მოთხოვნები:**

- 1016.2 ცხრილის მიხედვით, თითოეულ სართულზე გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, საშხეფი სისტემის გარეშე, დს ჯგუფის დაკავებულობებისთვის არ უნდა აღემატებოდეს 90 მეტრს. საპროექტო შენობა აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს.
- 1015.1 ცხრილის შესაბამისად, დს ჯგუფის დაკავებულობების შემცველ ფართებს შესაძლოა ჰქონდეთ ერთი გასასვლელთან მისადგომის გზა-კარი, თუკი დაკავებულობის დატვირთვა 49-ს არ აღემატება, თუმცა საპროექტო მიშენებაში გათვალისწინებულია 2 გასასვლელთან მისადგომის გზა-კარი.
- კარის გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვის მაჩვენებელი გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის 5.1 მმ ფაქტორზე. ზემოაღნიშნული გამოთვლით მიღებულია დასაშვებ მინიმუმზე (0.82მ) ნაკლები სიგანის კარი, თუმცა საპროექტო მიშენებაში გათვალისწინებული არცერთი კარის სიგანე არ არის დასაშვებ მინიმუმზე ნაკლები.

09.07.2021 მაგდა მეშვილდიშვილი

- **გასასვლელებისადმი მოთხოვნები:**

- არსებული გზა-კიბეების შესაბამისობა 1009-ე ქვეთავთან აუცილებელი არ არის, თუ არსებული სივრცე და კონსტრუქცია დახრილობის ან ქანობის შემცირების საშუალებას არ იძლევა, 2108.3 ქვეთავის შესაბამისად;
- საპროექტო გარე გზა-კიბეების სიგანე აკმაყოფილებს 1009.4 ქვეთავის პირველი გამონაკლისის მოთხოვნებს;
- საპროექტო გარე გზა-კიბეების ზემოთ გასასვლელის თავისუფალი სიმაღლე აკმაყოფილებს 1009.5 ქვეთავის მოთხოვნებს;
- საპროექტო გარე გზა-კიბეების საფეხურების ზომები აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს;
- საპროექტო გარე გზა-კიბეების საფეხურების ზომები ერთგვარია 1009.7.4 ქვეთავის შესაბამისად;
- საპროექტო გარე გზა-კიბეების საფეხურების შუბლები აკმაყოფილებს 1009.7.5.3 ქვეთავის პირველი გამონაკლისის მოთხოვნებს;
- საპროექტო გარე გზა-კიბეების ბაქნები აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს;
- საპროექტო გარე გზა-კიბეების კონსტრუქცია აკმაყოფილებს 1009.9 ქვეთავის მოთხოვნებს;
- საპროექტო გარე გზა-კიბეების სავალი ზედაპირები აკმაყოფილებს 1009.9.1 ქვეთავის მოთხოვნებს;
- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება აკმაყოფილებს 1009.10 ქვეთავის მოთხოვნებს;
- საპროექტო გარე გზა-კიბეების სახელურები აკმაყოფილებს 1009.15 და 1012 ქვეთავის მოთხოვნებს;
- საპროექტო გარე გზა-კიბეების მოაჯირები აკმაყოფილებს 1013.3 ქვეთავის მოთხოვნებს; მოაჯირების ღიობები აკმაყოფილებს 1013.4 ქვეთავის მოთხოვნებს;
- 1026. ქვეთავის მიხედვით, დწ-2 ჯგუფისგან განსხვავებულ დაკავებულობებში დასაშვებია, გარე გასასვლელის გზა-კიბეები და პანდუსები იყოს აუცილებელი გასასვლელი საშუალებების ელემენტები, თუ მიწის დონიდან შენობის სიმაღლე არ აღემატება 8 სართულს ან შენობა არ არის მაღლივი. არსებული შენობა მოიცავს როგორც სქ, ასევე დწ-2 დაკავებულობებს, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ შენობა არსებულია, ხოლო არსებულ შენობებში გასასვლელ საშუალებად სახანძრო თავდასაღწევი კიბის მოწყობაც შესაძლებელია, მისაღებია გარე გასასვლელის გზა-კიბე აუცილებელი გასასვლელი საშუალების ელემენტად მივიჩნიოთ;
- საპროექტო გარე გზა-კიბეების ღიობების ფართობი აკმაყოფილებს 1026.3 ქვეთავის მოთხოვნებს;
- საპროექტო გარე გზა-კიბეების მდებარეობა აკმაყოფილებს 1026.4 და 1026.5 ქვეთავების მოთხოვნებს;
- გარე გასასვლელის გზა-კიბეები შენობის შიგა სივრცისაგან გამიჯნულია 1022.2 და 1026.6 ქვეთავის შესაბამისად. 1026.6 ქვეთავის მიხედვით დასაშვებია მხოლოდ ისეთი ღიობები, რომლებიც დაკავებული სივრცეებიდან გასვლისთვისაა საჭირო. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ შენობა არსებულია, კიბის მიმდებარედ არსებული ღიობები დაცულია 45წთ-იანი ცეცხლმედეგობის ღიობების დამცავით 2106.5 ქვეთავის შესაბამისად.

09.07.2021 მაგდა მეშვილდიშვილი

5. მისაწვდომობის შეფასება:

- 1103.2.5 ქვეთავის შესაბამისად, 1103.2.5 დს ჯგუფის დაკავებულობებს არ ესაჭიროება მისაწვდომობა;
- 1007.1 ქვეთავის პირველი გამონაკლისის შესაბამისად, მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები არ მოითხოვება არსებული შენობების გადაკეთებისას, შესაბამისად, საპროექტო გარე კიბეები არაა სავალდებულო, მისაწვდომი იყოს.

6. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო მიშენებაზე, 705.8 ცხრილის თანახმად:

- „8^1-6^1“ ფასადზე დაცული ღიობების ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს. აღნიშნულ ფასადზე ღიობების ფართობი არაუმეტეს 17%-ია.
- „ს“ ღერძის მიმდებარედ საპროექტო მიშენების ფასადზე დაუცველი და დაცული ღიობების მოწყობა დაუშვებელია, ვინაიდან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი ≤1 მეტრს. შესაბამისად, პროექტში აღნიშნულ ფასადზე ღიობები გათვალისწინებული არაა.
- პროექტით საპროექტო მიშენების პერიმეტრზე გარე კედლების ცეცხლმედეგობა „წესებით“ მოთხოვნილს აჭარბებს. გარე კედლები შევსებულია 20 სმ ბეტონის ბლოკების წყობით, რაც მინ. 4 საათიან ცეცხლმედეგობას უზრუნველყოფს 721.1(2) ცხრილის შესაბამისად.
- 705.11 ქვეთავის მე-3 და მე-4 გამონაკლისების მიხედვით,საპროექტო მიშენების გარე კედლებზე მოწყობილი არაა პარაპეტი.

შენიშვნა: გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების (მათ შორის პარაპეტის) დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

7. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო მიშენების სახურავი შესრულებულია მეტალოკრამიტის ფურცლებით. 1505.1 ცხრილის მიხედვით, I-B ტიპის კონსტრუქციის შენობისათვის საკმარისია B კლასის სახურავის ბურული, თუმცა, წარმოდგენილი პროექტში სახურავის ბურული, 1505.2 ქვეთავის მიხედვით, კონსტრუქციული ანაწყობების ტიპით ეკუთვნის A კლასს, (A კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ძლიერი ცეცხლის ზემოქმედებას).
- სახურავს გააჩნია 1503.4 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი წყალარინი ღარები და მილები.

09.07.2021 მაგდა მეშვილდიშვილი

8. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- საპროექტო გარე გზა-კიბეები არსებული შენობის შიდა სივრცისგან გამიჯნულია 2 სთ-იანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ანაწყობით 1022.2 და 1026.6 ქვეთავების შესაბამისად;
- კიბის მიმდებარედ არსებული ღიობები დაცულია 45წთ-იანი ცეცხლმედეგობის ღიობების დამცავით 2106.5 ქვეთავის შესაბამისად.

9. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

- მიშენებული ფართობი თავისი ფუნქციიდან და დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე, არ საჭიროებს მე-9 თავში აღწერილი ხანძრისაგან დაცვის სისტემებით უზრუნველყოფას.

დ ა ს კ ვ ნ ა:

ქ.თბილისში, ლუბლიანას ქ№13დ, ს/კ 01.13.02.009.044 მდებარე თვალის მიკროქირურგიის კლინიკის რეკონსტრუქციის პროექტი არ გამოიწვევს „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტის მოთხოვნებთან არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდას.

ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას. ამრიგად, საექპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

კვლევაში გამოყენებული მასალები და ნოტარიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია:

1. „საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი №57 დადგენილება „მშენებლობის ნებრთვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“.
2. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის № 41 დადგენილება.

არქიტექტორი: მალხაზ თავართქილაძე, იაკობ ვარდანაშვილი

ექსპერტი: მაგდა მეშვილდიშვილი 

09.07.2021 მაგდა მეშვილდიშვილი

„ტექნიკური რეგლამენტი – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის № 732 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ№13დ, ს/კ 01.13.02.009.044

დანიშნულება: „თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა ოფთალმიჯი“

ექსპერტი: მაგდა მეშვილდიშვილი

საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად გადმოცემულია შემდეგი მასალები:

1. ინფორმაცია საპროექტო ობიექტის თაობაზე;
2. გენგეგმა მ 1:500;
3. გეგმები, ჭრილები, ფასადები მ 1:100;
4. აქსონომეტიული ხედები და ფოტომონტაჟი.

შენიშვნა: მოცემული დოკუმენტაციის სისწორესა და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალები სრულიად იძლევა ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

კვლევაში გამოყენებული ნორმატიულ - ტექნიკური დოკუმენტაცია:

- ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება;

2. ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ -ს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილება;

- ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ -ს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილების 102.2 ქვეთავის მიხედვით, ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მე-10 თავების შესაბამის დებულებებს უნდა აკმაყოფილებდეს ის ადგილები, საშუალებები, შენობები და ელემენტები, რომლებიც მისაწვდომი უნდა იყოს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ შესაბამისად;
- ვინაიდან სარეკონსტრუქციო შენობა აგებული და ექსპლუატაციაში მიღებულია ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებისა და ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ -ს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილების ამოქმედებამდე, იგი უნდა აკმაყოფილებდეს №41 დადგენილების 21-ე თავის მოთხოვნებს;
- №41 დადგენილების 2111.6 ქვეთავის შესაბამისად, გადაკეთებული ნაგებობა მე-11 თავს უნდა შეესაბამებოდეს, თუ ტექნიკურად შესაძლებელია. თუ ამ ქვეთავთან შესაბამისობა ტექნიკურად შეუძლებელია, გადაკეთებისას მისაწვდომობა, ტექნიკური შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი;
- №41 დადგენილების 1007.1 ქვეთავის პირველი გამონაკლისის შესაბამისად, მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები არ მოითხოვება არსებული შენობების გადაკეთებისას;
- №41 დადგენილების 2108. ქვეთავის პირველი შესაბამისად, არსებული გზა-კიბეების შესაბამისობა 1009-ე ქვეთავთან აუცილებელი არ არის, თუ არსებული სივრცე და კონსტრუქცია დახრილობის ან ქანობის შემცირების საშუალებას არ იძლევა;
- №41 დადგენილების 1103.2.3 ქვეთავის შესაბამისად, მისაწვდომობის ყველა მოთხოვნისგან თავისუფალია სამუშაო ფართობები ან მათი ნაწილები, რომელთა ფართობი ნაკლებია 30 კვ. მეტრზე;
  №41 დადგენილების 1103.2.5 ქვეთავის შესაბამისად, დს ჯგუფის დაკავებულობებს არ მოეთხოვება მისაწვდომობა, გარდა კერძო გარაჟებისა და ავტოსადგომებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობებისა;
- №41 დადგენილების 1103.2.9 ქვეთავის შესაბამისად, მოწყობილობა-დანადგარებისათვის განკუთვნილი სივრცეები, სადაც მხოლოდ პერსონალი შედის, არ საჭიროებს მისაწვდომობას;
- №41 დადგენილების 1109.2. ქვეთავის მე-5 გამონაკლისის მიხედვით, ტუალეტები, რომლებიც წარმოადგენს სარეანიმაციო განყოფილების ან ინტენსიური თერაპიის განყოფილების პაციენტების საძინებელი ოთახების ნაწილს, მისაწვდომობას არ საჭიროებს.

- მისაწვდომი სვლაგეზი:

სარეკონსტრუქციო შენობასა და მიწის ნაკვეთზე მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, პანდუსს, კარებს და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. **მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.
- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.
- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.
- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.2 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, ხოლო 180 გრადუსიანი ბრუნი შენობაში არ გვხვდება.
- სარეკონსტრუქციო შენობაში დერეფნების სიგანე უზრუნველყოფს მისაწვდომი სვლაგეზების გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.2 ქვეთავის მოთხოვნას.

2. კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.
- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. **სარეკონსტრუქციო შენობაში არსებული ლიფტი მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია და შეესაბამება 407 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- ლიფტის კაბინის ზომები შეესაბამება 407.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ლიფტის კარი შეესაბამება 407.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

4. **სარეკონსტრუქციო შენობაში შესასვლელი მისაწვდომი პანდუსი შეესაბამება 405 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- პანდუსის იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც ასევეშეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.
- პანდუსის დახრა გრძივი მიმართულებით არ აღემატება 1:12-ს, ხოლო განივი - 1:48-ს, როგორც ამას 405.2 და 405.3 ქვეთავები მოითხოვს.
- პანდუსის თავისუფალი სიგანე არაუმცირეს 900 მმ-ია, 405.5 ქვეთავის შესაბამისად.
- პანდუსის სვლის ამაღლება არ აღემატება 750 მმ-ს, რაც შესაბამისობაშია 405.7 ქვეთავის მოთხოვნებთან.
- პანდუსის თავსა და ბოლოში მოწყობილია ბაქნები 405.7 ქვეთავის შესაბამისად.
- ბაქნების თავისუფალი სიგრძე არაუმცირეს 1500 მმ-ია, რაც პასუხობს 405.7.3. ქვეთავის მოთხოვნებს.
- ვინაიდან შესასვლელის გზა-კარები პანდუსის ბაქნის მომიჯნავედ მდებარეობს, მანევრირებისათვის საჭირო თავისუფალი სივრცეები, რომელიც 404.2.3 და 404.3.4 ქვეთავებშია მოთხოვნილი, დასაშვებია, გადადიოდეს ბაქნის ფართობზე 405.7.5 ქვეთავის შესაბამისად.
- ვინაიდან პანდუსის ამაღლება 150 მმ-ს არ აღემატება, მას არ ესაჭიროება სახელურები 405. ქვეთავის შესაბამისად.
- 405.9 ქვეთავის პირველი გამონაკლისის მიხედვით, პანდუსს, რომელსაც სახელურები არ ესაჭიროება, არ საჭიროებს კიდეების დაცვას.

- **წყალსადენის მოწყობილობები:**

- არსებული ტუალეტის ნაკვეთურებიდან ყველა მდებარეობს მისაწვდომ სვლაგეზზე, თუმცა 604 ქვეთავში მოთხოვნილ თავისუფალ სივრცეს უზრუნველყოფს მხოლოდ პირველ სართულზე მდებარე საზოგადოებრივი ტუალეტები. პალატებში გათვალისწინებული ტუალეტის ნაკვეთურები „ბ“ ტიპისაა. აღნიშნული ტუალეტების მისაწვდომ ნაკვეთურებად გადაკეთება ტექნიკურად შეუძლებელია, ვინაიდან ნაკვეთურების ფართობის გაზრდისათვის საჭიროა კედლების დამონტაჟი და ზოგ შემთხვევაში საინჟინრო გაყვანილობების გადალაგება, გარდა ამისა, ტუალეტის

ფართობის გაზრდა უნდა მოხდეს პალატის ფართობის შემცირების ხარჯზე, რაც როგორც ტუალეტის კართან, ასევე პალატაში შესასვლელ კართან მანევრირებისთვის საჭირო ადგილს არ დატოვებს.

შეფასება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისში, ლუბლიანას ქ№13დ, ს/კ 01.13.02.009.044 მდებარე „თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა ოფთალმიჯი“ ტექნიკური შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ -ს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებაში მოთხოვნილ მოსაწვდომობას.

ექსპერტი: მაგდა მეშვილდიშვილი 

თარიღი: 25/08/2021

1 სართულის გეგმა.
-0.45 და 0.00 ნიშნულზე.



ექსპლიკაცია:

1. ლაბორატორია
2. ექიმის კაბინეტი
3. დამხმარე სათავსო
4. რენტგენის კაბინეტი
5. კომპიუტერული ტომოგრაფია და ექოსკოპია
6. პერსონალის გასახდელი
7. დამხმარე სათავსო
8. სანკვანძი
9. ვესტიბული
10. დამხმარე სათავსო
11. ჰოლი
12. სტერილიზაცია
13. სალარო
14. საბარდერობე
15. მიმღები
16. ჰოლი არს
17. წინასაოპერაციო
18. საოპერაციო
19. დამხმარე ოთახი
20. სასტერილიზაციო
21. ანეზთეზიოლოგი
22. პაციენტების შესასვლელი
23. გასახდელი
24. ექთანი
25. პალატა
26. კორიდორი
27. სანკვანძი
28. ექიმის კაბინეტი
29. სამან. კაბინეტი
30. დამხ. სათავსო
31. ორთ.
32. დიაგნოსტიკის ხაზი
33. საპროცედ.
34. წინამო, დაცვა გარდერობი
35. ბარი

თვალის კლინიკა ქ. თბილისში ლიუბლიანას ქუჩა №5 რეკონსტრუქციის პროექტი		შპს. "თამარინა პროექტი" ქ. თბილისი ვერცხლის ქ.№20 დამკვეთი: თვალის მიკროქირურგიის ჯ.ავრიშვილის კლინიკა "ოფთალმიჯი" ქ. თბილისი ლიუბლიანას ქუჩა №13ფ		
განმარტებითი ბარათი	დაკვეთა	დირექტორი. პრ.მთ.არქიტექტორი	მ.თავართქილაძე	
ნახაზების ჩამონათვალი.		არქიტექტორები	ი.ჭარდანაშვილი	
ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები	სტადია პროექტი	კონსტრუქტორი		
		შეასრულა	ი.ჭარდანაშვილი	
არქიტექტურა	შკრც.	შეამოწმა	მ.თავართქილაძე	
		მასშტაბი 1-200	I სართულის გეგმა.	

პირობითი ნიშნები

ნაკვეთის საზღვარი

ჭრილის ხაზი

შენიშვნები

1. ზომები მოცემულია სმ-ში, ნიშნულები მ-ში.
2. ნახაზის ყველა ცვლილება მშენებლობისას შეთანხმდეს პროექტის ავტორთან.

Հատակագծի համարը	Տարածքի անվանումը	Մակերեսը քառ.մ	Նշումներ
1	Ընդունարան	8.0	
2	Սպասասրահ	93.7	
3	Ընդունարան	15.3	
4	Սպասասրահ	19.0	
5	Սպասասրահ	20.7	
6	Սպասասրահ	45.2	
7	Սպասասրահ	20.3	
8	Ընդունարան	20.6	
9	Զուգարան	6.2	
10	Ընդունարան	54.8	
11	Սպասասրահ	29.3	
12	Սպասասրահ	20.2	
13	Սպասասրահ	24.1	
14	Սպասասրահ	12.3	
15	Սպասասրահ	12.3	
16	Սպասասրահ	47.2	
17	Սպասասրահ	16.7	

Հատակագծի համարը	Տարածքի անվանումը	Մակերեսը քառ.մ	Նշումներ
1	Ընդունարան	48.2	
2	Սպասասրահ	14.7	
3	Ընդունարան	10.7	
4	Սպասասրահ	25.2	
5	Սպասասրահ	19.9	
6	Սպասասրահ	20.0	
7	Սպասասրահ	11.8	
8	Ընդունարան	20.6	
9	Զուգարան	6.2	
10	Սպասասրահ	54.8	
11	Սպասասրահ	29.3	
12	Սպասասրահ	20.2	
13	Սպասասրահ	24.1	
14	Սպասասրահ	12.3	
15	Սպասասրահ	12.3	
16	Սպասասրահ	47.2	
17	Սպասասրահ	16.7	

Հատակագծի համարը	Տարածքի անվանումը	Մակերեսը քառ.մ	Նշումներ
1	Ընդունարան	8.0	
2	Սպասասրահ	93.7	
3	Ընդունարան	15.3	
4	Սպասասրահ	19.0	
5	Սպասասրահ	20.7	
6	Սպասասրահ	45.2	
7	Սպասասրահ	20.3	
8	Ընդունարան	20.6	
9	Զուգարան	6.2	
10	Սպասասրահ	54.8	
11	Սպասասրահ	29.3	
12	Սպասասրահ	20.2	
13	Սպասասրահ	24.1	
14	Սպասասրահ	12.3	
15	Սպասասրահ	12.3	
16	Սպասասրահ	47.2	
17	Սպասասրահ	16.7	

Հատակագծի համարը	Տարածքի անվանումը	Մակերեսը քառ.մ	Նշումներ
1	Ընդունարան	48.2	
2	Սպասասրահ	14.7	
3	Ընդունարան	10.7	
4	Սպասասրահ	25.2	
5	Սպասասրահ	19.9	
6	Սպասասրահ	20.0	
7	Սպասասրահ	11.8

3 ՀԱՐԿԱՅԻՆ ՀԱՏԱԿԱԳԾԱՅԻՆ +6.85 ՏՈՒՖԻ ՀՈՐԻԶՈՆԱԿԱՆ


0.00=427.10
+4.20
+6.85
+6.85
+6.85

4 სართულის გეგმა +10.25 ნიშნულზე

ექსპლიკაცია:

1. ვესტიბული
2. ჰოლი
3. დამხმარე სათავსო
4. პალატა
5. კაბინეტი
6. საორდინატორო
7. სანკვანძი



თვალის კლინიკა ქ. თბილისში ლიუბლიანას ქუჩა №5 რეკონსტრუქციის პროექტი		შპს. "თამარინა პროექტი" ქ. თბილისი ვერცხლის ქ.№20 დამკვეთი: თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა "ოფთალმიკი" ქ. თბილისი ლიუბლიანას ქუჩა №13ფ		
განმარტებითი ბარათი ნახაზების ჩამონათვალი. ტექნიკურ-ეკონომიკური მახვენებლები	დაკვეთა	დირექტორი. პრ.მთ.არქიტექტორი	მ.თავართქილაძე	
		არქიტექტორები	ი.ვარდანაშვილი	
	სტადია პროექტი	კონსტრუქტორი		
		შესასრულა	ი.ვარდანაშვილი	
არქიტექტურა	შკრც.	შეამოწმა	მ.თავართქილაძე	
პირობითი ნიშნები ნაკვეთის საზღვარი 1 1 ჭრილის ხაზი		მასშტაბი 1-200 IV სართულის გეგმა.		
		შენიშვნები 1. ზომები მოცემულია სმ-ში, ნიშნულები მ-ში. 2. ნახაზის ყველა ცვლილება მშენებლობისას შეთანხმდეს პროექტის ავტორთან.		

5 სართულის გეგმა +13.65 ნიშნულზე



ექსპლიკაცია:

1. ჰოლი
2. საოპერაციო ბლოკი
3. წინა საოპერაციო
4. სარეანიმაციო ბლოკი და სარეანიმაციო ბოძსპალატა
5. ძირშრბის ოთახი
6. დამხმარე სათავსო
7. სანიტარი და თეთრეული
8. ნარჩენები
9. საძვაბე
10. ტერასა
11. სანკვანძი
12. დამხმარე სათავსო

თვალის კლინიკა ქ. თბილისში ლიუბლიანას ქუჩა №5 რეკონსტრუქციის პროექტი		შპს. "თამარინა პროექტი" ქ. თბილისი ვერცხლის ქ.№20 დამკვეთი: თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა "ოფთალმი%ი" ქ. თბილისი ლიუბლიანას ქუჩა №13.დ		
განმარტებითი ბარათი ნახაზების ჩამონათვალი. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები	დაკვეთა	დირექტორი. პრ.მთ.არქიტექტორი	მ.თავართქილაძე	
		არქიტექტორები	ი.ვარდანაშვილი	
	სტადია პროექტი	კონსტრუქტორი		
		შესასრულა	ი.ვარდანაშვილი	
არქიტექტურა	შკრც.	შეამოწმა	მ.თავართქილაძე	
პირობითი ნიშნები ნაკვეთის საზღვარი საპროექტო კედლები და ტიხრები 1 1 ჭრილის ხაზი		მასშტაბი 1-200 V სართულის გეგმა.		
		შენიშვნები 1. ზომები მოცემულია სმ-ში, ნიშნულები მ-ში. 2. ნახაზის ყველა ცვლილება მშენებლობისას შეთანხმდეს პროექტის ავტორთან.		

0.00=427.10

მასშტაბი 1 :50

1) მისაწვდომი სვლაგეზის სიგანე შენობაში არის 900მმ;

2) არსებულ შენობებსა და მისაწვდომ საშუალებებში იატაკის თავისუფალი სივრცის სიგრძეა არაუმცირეს 1200 მმ, ხოლო სიგანე - 760 მმ.



სარეკონსტრუქციო შენობაში გათვალისწინებული 2 კარი მწკრივში:



სარეკონსტრუქციო შენობაში გათვალისწინებული მოსატრიალებელი სივრცეების ვარიანტები:



1) წრიული მოსატრიალებელი სივრცე



1) T -ის ფორმის მოსატრიალებელი სივრცე

სარეკონსტრუქციო შენობაში არსებული შშმპ გარე პანდუსი:



გეგმა



ჭრილი

სარეკონსტრუქციო შენობაში გათვალისწინებული თავისუფალი სივრცე კართან მანევრირებისათვის:

ანჯამიანი კარი - წინიდან მისაწვდომი - გამოწევით გაღება



ანჯამიანი კარი - წინიდან მისაწვდომი - მიწოლით გაღება



ანჯამიანი კარი - ანჯამის მხრიდან მისაწვდომი - გამოწევით გაღება

სარეკონსტრუქციო შენობაში არსებული ლიფტი:



ღია საზოგადოების ფონდი

March 29-30, 2021

Accessible and Usable Buildings and Facilities - National Standards

Certificate awarded to

Magda Meshvildishvili

Keti Khutsishvili
Executive Director

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2019 – 030

გადაეცემა

მაგდა მეშვილდიშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

ვაჟა კუხიანიძე, კურსის ხელმძღვანელი

GEORGIA

DIPLOMA AA № 0071950 ❋

This is to certify that Mr/Ms MAGDA MESHVILDISHVILI

in 2003 completed a full academic course of the

TBILISI STATE ACADEMY OF ARTS

majoring in

ARCHITECTURE

By resolution of the State Examination Board, dated JULY, 9 2003 Mr/Ms M.MESHVILDISHVILI is conferred the present DIPLOMA and the qualification of

AN ARCHITECT - ARTIST

Rector

Seal of Office

Chairman of the State Examination Board

Dean

City of TBILISI 2004

Registration № 7052

Secretary

საქართველო

დიპლომი AA № 0071950 ❋

მიენიჭა

მასზედ, რომ მან 2003 წელს დაამთავრა

სრული კურსი

სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის „9“ ივლისის

გადაწყვეტილებით მიენიჭა

კვალიფიკაცია.

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი 2004 წ.

სარეგისტრაციო № 7052

მდივანი

მაგდა მეშვილდიშვილი

მობილური: 555388773

ელ.ფოსტა: magdameshvildishvili@gmail.com

დაბ.თარიღი: 11.07.1980

განათლება

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტურის ფაკულტეტი, 1997-2003 არქიტექტორი, მაგისტრთან გათანაბრებული

სამუშაო გამოცდილება

2014 – დღემდე	შპს "ემ-პროჯექტ"; მთავარი არქიტექტორი
2006 – დღემდე	შპს "თამარინა" ; არქიტექტორი
2018-2019	შპს "იბერია ალიანსი"; არქიტექტორი
2013-2017	შპს"ესთეთიკა გრუპ"; არქიტექტორი

პროექტები

- ქ.თბილისში, დაბა კოჯორში, ვასო აბაშიძის ქ№2-ში, ს/კ 81.01.05.679 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი, II კლასი, მშენებარე, 2021;
- ქ.თბილისში, მ.მამარდაშვილის ქ№31ა-ში, ს/კ 01.16.04.025.001 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი, II კლასი, მშენებარე, 2021;
- ქ.თბილისში, გარეჯის ქ№37-ში, ს/კ 81.21.06.243 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი, 2021;
- ქ.თბილისში, სოფ. ზურგოვანში, ს/კ 01.72.14.005.334 დახურული ჩოგბურთის კორტებისა და სპორტკომპლექსის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; IV კლასი, 2021;
- ქ.თბილისში, ა.წერეთლის გამზირი №110, ს/კ 01.13.05.005.004.01.508 აფთიაქის "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; II კლასი; 2021;
- ქ.თერჯოლაში, რუსთაველის ქ№82-ში, ს/კ 33.09.33.542 იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრის რეკონსტრუქციის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და “მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან” შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა;III კლასი; 2021;

- ჰალოკამერის ინტერიერის დიზაინი და ტექნოლოგიური პროექტი „თბილისის ბალნეოლოგიურ კორორტში” ქ. თბილისში, გორგასლის ქ №9, 2021;
- ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი №112-ის მიმდებარედ, ს/კ 01.19.13.002.041 მაღაზიის პროექტის “მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან” შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; II კლასი; 2021;
- ქ.თბილისში, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ. №137, ს/კ 01.13.07.022.017.01.516 სს”საქართველოს ბანკის” ოფისის პროექტის “მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან” შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; II კლასი; 2021;
- ქ.თბილისში, მამარდაშვილის ქ№33, ს/კ 01.16.04.025.016 მარანი, II კლასი, 2021;
- ქ.თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში, ს/კ 81.21.12.109 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის “ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი; 2021;
- ქ.თბილისში, ლისის ტბისკენ მიმავალ გზასა და ვაშლიჯვარს შორის, უბანი I,
- ს/კ 01.10.18.009.028 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის “ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი, 2021;
- ქ.თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი №89/24, ს/კ 01.13.08.006.088 სს”საქართველოს
- ბანკის” ექსპრეს ოფისის პროექტის “ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; 2021;
- ქ.თბილისში, ზემო ვეძისის ქ№6ბ, ს/კ 01.10.12.007.086 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის “ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი, 2020;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სილიკომანგანუმის გადამამუშავებელი საწარმოს პროექტის “ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; V კლასი; 2020;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ.ნახშირღელეში ავტოგასამართი სადგურის პროექტის “ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; IV კლასი, 2020;
- ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ.თბილისში,
- ცინცაძის ქ№13, III კლასი, 2020;
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფ. ნატახტარში, II კლასი, 2020;
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ.თბილისში, ხეოშვილის ქ№9, III კლასი; 2020
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფ. შინდისში, II კლასი, 2020;

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფ. შინდისში, II კლასი, 2020;
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფ. შინდისში, II კლასი, 2020
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ.თბილისში,
- ურიდიას ქ№18, II კლასი; 2020
- ქ.თბილისში, ზუბალაშვილების ქ№53 მდებარე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი, 2020;
- ქ.თბილისში, სათემოს ქ№53 მდებარე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის–შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე საექსპერტო დასკვნა; III კლასი, 2020;
- განაშენიანების დეტალური გეგმა (№18 თემატურ არეალში) დაბა ბაკურიანში; 2020
- ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისში აჰმედ ჯავადის ქუჩაზე, III კლასი, 2020;
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფ.ზემო ლისში, არქიტექტურული პროექტი და ინტერიერის დიზაინი, II კლასი; 2019;
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისში, ვარდისუბნის ქ№42, II კლასი, 2019;
- აფთიაქი ქ.თბილისში, ჭელიძის ქ№7, ინტერიერის დიზაინი; 2019
- თემატური გეგმა (№18) დაბა ბაკურიანში; 2019;
- ესთეტიკის ცენტრი ქ.თბილისში, მირიან მეფის ქ№42, ინტერიერის დიზაინი და ტექნოლოგიური პროექტი; 2019
- განაშენიანების რეგულირების გეგმა სოფ.თხინვალაში; 2019;
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ.თბილისში, ურიდიას ქ№18, II კლასი; 2018
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ.თბილისში,
- ურიდიას ქ№18, II კლასი; 2017
- სამედიცინო ცენტრი ქ.თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქ№38, ექსტერიერისა და ინტერიერის დიზაინი, განხორციელებული; 2018
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფ. აგარაკებში, II კლასი; 2018;
- განაშენიანების რეგულირების გეგმა ქ.ქუთაისში, გუგუნავას ქუჩის მიმდებარედ; 2018
- საოფისე შენობა ქ.თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქ№38, ექსტერიერისა და ინტერიერის
- დიზაინი; 2017
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფ.ტიმოთესუბანში, II კლასი; 2017
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისში, მრევლიშვილის ქ, II კლასი; 2017
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ.თბილისში,
- გრ.აფშინაშვილის ქ№4, II კლასი; 2017
- ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისში, სამრეწველოს
- დასახლება №1. III კლასი; 2017
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ.თბილისში,

ხევსურეთის ქ№6, II კლასი; 2016;

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, II კლასი; 2016
- ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ.თბილისში, ცინცაძის ქ№13, II კლასი; 2016
- სილამაზის სალონი ქ.თბილისში, ლეონიძის ქ№8, ექსტერიერისა და ინტერიერის დიზაინი, 2016;
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია ქ. თბილისში,
- მეგობრობის ქუჩის მიმდებარედ, II კლასი; 2015
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი სოფ. ზურგოვანში, II კლასი; 2014;
- სასტუმრო ქ.თბილისში, გერგეთის შესახვევი №3, IV კლასი; 2014;
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისში, სამრეწველოს დასახლებაში, II კლასი; 2014
- ავტოსერვისი ქ.თბილისში, ქსნის ქუჩის მიმდებარედ, III კლასი; 2012